

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ხელნაწერის უფლებით

ლელია ავიძბა

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა
აზნაზურ ენაში

-

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

-

მ ა ც ნ ე

2012

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თეიმურაზ ბვანცელაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

- ოფიციალური ოპონენტები:
1. ნანა მაჭავარიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
 2. რუსუდან ჯანაშია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის 22 მარტს, 16 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის № 36, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსი, 313 აუდიტ.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
ა. ყულიჯანიშვილი



შრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. აფხაზური ენის მეცნიერული კვლევის ისტორია იწყება 1846 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული გეორგ როზენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვით, რომელშიც აღწერილია ენის ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკური შემადგენლობის ძირითადი საკითხები.

აღნიშნულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ იგი იყო პირველი ცდა ენის სტრუქტურის აღწერისა, მაგრამ გ. როზენის ნაშრომს ბევრი ნაკლიც ჰქონდა, რაც განპირობებული იყო იმდროინდელი ლინგვისტიკის განვითარების დონით და იმით, რომ პირველ ცდაზევე ენის ამომწურავი აღწერა თითქმის შეუძლებელია.

გ. როზენის შემდგომ აფხაზური ენის ლექსიკის კვლევის საქმეში სერიოზული წვლილი შეიტანეს პეტრე უსლარმა, პეტრე ჭარაიამ, ნიკო მარმა, რომელთა ნაშრომებშიც საკმაოდ მაღალ აკადემიურ დონეზეა გამოკვლეული აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთი ნაწილის მახასიათებლები, მათი კავშირი ქართველურ ლექსიკასთან, აგრეთვე გამოვლენილია ნასესხები ლექსემები.

აფხაზური და აფხაზურ-აბაზური ლექსიკის კვლევის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეტანილი აქვს ორ დიდ აფხაზოლოგს: აკად. ქეთევან ლომთათიძესა და აკად. ჟორჟ დიუმეზილს. ათწლეულების განმავლობაში შექმნილ მათ ნაშრომებში სხვა საკითხებთან ერთად დეტალურად გაანალიზებულია აფხაზურ ენაში წარმოდგენილი მრავალი ლექსიკური ერთეულის სტრუქტურა, ეტიმოლოგია და ისტორია.

აფხაზური და აფხაზურ-აბაზური დარგობრივი ლექსიკის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება ლ. ჭკადუას, ხ. ბლაჟბას, კ. შაყრილის, შ. არისტავას, ს. ამიჭბას, ვ. ამიჭბას, ვ. კონჯარიას, ა. ხეციას, ზ. ხიბას, ნ. არშბას, ე. კილბას, ვ. კასლანდიას, რ. კლიჩევის, ს. პაზოვის, ა. შაგიროვის, გ. როგავას, რ. ჯანაშიას, თ. გვანცელაძის, ნ. მაჭავარიანისა და სხვათა ნაშრომები.

მიუხედავად აფხაზური ენის ლექსიკაზე მომუშავე მკვლევართა და მათ ნაშრომთა სიმრავლისა, დღემდე ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან და მკურნალობასთან დაკავშირებულ ლექსიკა მონოგრაფიულად არ გამოკვლეულა. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ეძღვნება ჩვენი ნაშრომი,

რომელიც შესაბამისი ლექსიკის მონოგრაფიული კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა. აფხაზურ ენაში ადამიანის სხეულის ნაწილების, ფიზიოლოგიის, დაავადებებისა და სამკურნალო საშუალებების ამსახველი ლექსიკა საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. ამის მიუხედავად აღნიშნული ლექსიკის ეტიმოლოგია, სიტყვაწარმოება, სიტუაციური გამოყენება, გავრცელების არეალი თითქმის არ არის შესწავლილი და აღწერილი.

ჩვენ მიერ შესწავლილი ლექსიკის დიდი ნაწილი დღეს მეტყველებაში რუსული ტერმინებით არის ჩანაცვლებული, რაც აშკარა მაჩვენებელია ამ ლექსიკის სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითებისა. ჩვენი კვლევის აქტუალობას განაპირობებს ასევე ნაშრომის ლექსიკოლოგიური ღირებულებაც. წლების მანძილზე ნაგროვი და დაფიქსირებული ახალი მასალით შეიძლება შეივსოს აფხაზური ენის ლექსიკონები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აფხაზური ენის სასკოლო და საუნივერსიტეტო კურსებში, აგრეთვე იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევაში.

მკვლევართა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი აფხაზური ენის ლექსიკის მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან არის დაკავშირებული, აქამდე არ არის განსაზღვრული ამ დარგის სიტყვების სიტუაციური თავისებურებანი და გამოყენების სიხშირე; არ არის შესწავლილი მათი უმრავლესობის წარმომავლობა, მორფოლოგიური სტრუქტურა, წარმოქმნის საშუალებები, ამოსავალი და მეორეული სემანტიკა.

გარდა ამისა, თანამედროვე ლინგვისტურ აფხაზოლოგიაში ლექსიკის ამ ფენის მონოგრაფიულად დაუმუშავებლობა ართულებს აფხაზური ენის ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებას.

საანალიზო ლექსიკის კომპლექსურ შესწავლას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან თვით პრობლემა მჭიდროდ დაკავშირებულია აფხაზური ენის წარსულის, აწმყოსა და მომავლის საკითხებთან.

ყოველივე ზემოთ თქმული განსაზღვრავს სადისერტაციო კვლევის აქტუალურობას.

ნაშრომის მიზნები. წინამდებარე გამოკვლევის მიზნებია:

- ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებათა, დაავადებებთან, მკურნალობასთან და ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის სისტემატიზება, აღწერა და კვალიფიკაცია;
- ძირეული (საკუთრივ აფხაზური) და ნასესხები ლექსიკის გამოიჯენა;
- ძირეულ სიტყვათა სახელდების (ნომინაციის) მოტივების დადგენა;
- ტერმინთა ამოსავალი ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზი;
- სიტყვაწარმოების ხერხების და მოდელების გამოვლენა;
- ნასესხებ ტერმინთა აფხაზურ ენაში ფონეტიკური ადაპტაციის თავისებურებათა დადგენა;
- საკვლევი დარგობრივი ლექსიკის გავრცელების არეალისა და მისი ფუნქციონირების სფეროების გარკვევა.

კვლევის მეთოდოლოგია. საკითხის შესასწავლად გამოყენებულია აღწერითი (სინქრონიული) და ისტორიულ-შედარებითი (დიაქრონიული) კვლევის მეთოდები, აგრეთვე შინაგანი რეკონსტრუქციის ხერხი.

პრობლემის დამუშავების ხარისხი. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლის, აგრეთვე ამ ლექსიკის მონათესავე ენათა ლექსიკასთან მიმართების საკითხებს ორიოდ სპეციალური ნაშრომი ეხება. ესენია: ქ. ლომთათიძის სტატია “ხელისა და ფეხის აღმნიშვნელ ფუძეთა ისტორიისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში და ზოგი სათანადო ქართველური ფუძის საკითხი” (იკვ, ტ. XV, თბილისი, 1966), მისივე “აფხაზური ალტოჟოვა (“ლავიწი”) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის (აფხაზური ტ-ს წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით)” (სმამ, ტ. 76, №1, 1974), ს. ამიჭბას ““აფხაზურ-აბაზურ ენათა ლექსიკა” (Амф-пха С. А. Апсуа-абаза бызшәакәа рлексика, 1984, Акаә). არსებობს აგრეთვე აფხაზი და ქართველი მეცნიერების რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბ შეხებაშია ჩვენ საკვლევი თემასთან.

ვრცელი სამედიცინო ტერმინოლოგიური მასალა მოცემულია პ. კვიციანიას ავტორობით 1997 წელს სოხუმში გამოცემულ აფხაზურენოვან “ადამიანის ანატომიაში”, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტთათვის.

ჩვენ მიერ განხილული მასალა სხვადასხვა წყაროებიდან არის მოპოვებული, კერძოდ: გამოცემული ერთ- და ორენოვანი ლექსიკონებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან, ფოლკლორული ტექსტებიდან... ცალკეული სამედიცინო ტერმინები გვხვდება კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნში, რომლის ავტორია კ. შაბლოვსკი (1886). ავტორი რამდენიმე წელი აფხაზეთში ცხოვრობდა. მის მიერ აღწერილი ხალხურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეების აღწერა და მათი გამოყენებით დასამზადებელი წამლების რეცეპტები ჩვენთვის საინტერესო იყო ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით.

დისერტაციაზე მუშაობის დროს შესწავლილ იქნა აფხაზური სამწიგნობრო ენის ნიმუშები, აბჟუური და ბზიფური დიალექტების მასალა, ტერმინთა ამჟამინდელი სემანტიკა და მორფოლოგიური სტრუქტურა, გაიმიჯნა ძირეული და ნასესხები ლექსიკა, გამოვლინდა საკუთრივ აფხაზური, აფხაზურ-აბაზური, აფხაზურ-ადიღური, აფხაზურ-ქართველური და საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკა. შეძლებისდაგვარად დადგინდა ტერმინთა დიდი ნაწილის ამოსავალი სტრუქტურა და თავდაპირველი სემანტიკა, მათში მომხდარი ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებები; დაფიქსირდა ამ დარგობრივი ჯგუფის ლექსიკის გამოყენება ფრაზეოლოგიაში.

კვლევის ემპირიული ბაზა. ნაშრომში გამოყენებულია და გაანალიზებულია 351 აფხაზური ლექსიკური ერთეული, ნიმუშები ნაწილობრივ ამოკრებილია სხვადასხვა ლექსიკონიდან, მნიშვნელოვანი მასალა მოპოვებულია აფხაზეთში ექსპედიციების დროს, ხოლო სიტყვათა სემანტიკის დამადასტურებელი საილუსტრაციო წინადადებები და ფრაზეოლოგია ამოწერილია გამოცემული ფოლკლორული და მხატვრული ლიტერატურიდან.

რაც შეეხება სხვა ენათა (ქართველურ, ადიღურ, უბიხურ, თურქულ, რუსულ) ლექსიკას, ის ამოკრებილია ლექსიკონებიდან და სხვადასხვა ავტორთა ნაშრომიდან.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შეიცავს 151 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება საძიებლის, შესავლის, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის კვლევის მოკლე ისტორიის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, ინფორმატორთა სია და დანართები.

კვლევის შედეგების აპრობაცია. ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში.

ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები და დასკვნები წაკითხული იყო სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებზე, გამოქვეყნებულია სტატიებისა და თეზისების სახით.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

ნაშრომში ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სემანტიკური თვალსაზრისით განხილულია ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკა, დაძებნილია მისი დიალექტური ეკვივალენტები და მონათესავე ენათა (აბაზურის, ადიღურის, ყაბარდოულის, უბიხურის, ქართველურ ენა-კილოთა, ნახურ და დაღესტნურ ენათა) შესაბამისი ლექსიკური ერთეულები. მოპოვებული მასალა (საკუთრივ აფხაზური და ნასესხები ლექსემები) დაიყო დარგობრივ ჯგუფებად, დადგინდა საკვლევ ტერმინთა უმრავლესობის წარმომავლობა, გამოვლინდა მათი სემანტიკური, მორფოლოგიური და ფონეტიკური თავისებურებანი, გამოიყო ნასესხებ ტერმინთა ფენა და მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სემანტიკური ადაპტაციის თავისებურებანი, დადგინდა საკვლევი ტერმინების მორფოლოგიური მოდელები და ა.შ.

ტერმინების გამოყენება ილუსტრირებულია შესაბამისი მასალით, მოცემულია ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის კვლევის მოკლე ისტორია, რომელშიც ზოგადად განიხილება არსებული სპეციალური ლიტერატურა.

თავი I

ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი ტერმინები

I თავში წარმოდგენილია ადამიანის სხეულის ნაწილთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურული, სემანტიკური და ეტიმოლოგიური

ანალიზის შედეგები. ანალიზისას გათვალისწინებულია როგორც აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა, ისე სხვა აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემები, აგრეთვე საჭიროების მიხედვით გათვალისწინებულია ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა ფაქტებიც.

აფხაზურ-ადიღური ენების ლექსიკაში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ენების ლექსიკაში, სიძველისა და სტრუქტურის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ სხეულის ნაწილების სახელწოდებები და მათგან ნაწარმოები სიტყვები. ეს ლექსიკა ორ ჯგუფად იყოფა: ყველაზე მრავალრიცხოვანია ძირეული ტერმინები, რომლებიც სიძველითაც გამოირჩევიან, ხოლო უფრო მცირერიცხოვანია სხვა ენათაგან მომდინარე ნასესხობანი.

ა. შაგიროვის დაკვირვებით, ადიღურ ენებში (ადიღურსა და ყაბარდოულში) ნასესხობები ძირითადად რუსული, არაბული, თურქული და სპარსული სიტყვებია, აგრეთვე ინტერნაციონალური ლექსიკა, რომელიც ამ ენებში რუსულის მეშვეობით შევიდა. აფხაზურისთვის ამ ენებს უნდა დაემატოს ქართველური (ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული) და ადიღური ელემენტები, ხოლო აბაზურისთვის – ყაბარდოულ-ჩერქეზულიდან მრავალრიცხოვანი ნასესხობები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. შაგიროვის ამ დასკვნას დაზუსტება ესაჭიროება: კერძოდ, როგორც ადიღურ ენებში, ისე აფხაზურ-აბაზურშიც სპარსული და არაბული ლექსიკა არ ჩანს ნასესხები უშუალოდ ამ ორი ენიდან, მათი სესხებისას შუამავალი ენების როლს ასრულებდნენ, ერთი მხრივ, თურქული და, მეორე მხრივ – ქართული ენები.

სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელწოდებანი, ანუ სომატური ტერმინები, დამოუკიდებელ სემანტიკურ ველს ქმნიან. ამ ველის შემადგენლობაში შედის როგორც ადამიანის, ისე სხვა ცოცხალ არსებათა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები. ლექსიკის ამ ჯგუფის სპეციფიკა ის არის, რომ ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელების დიდი ნაწილი (ახგ “თავი”, ა-ცაქჟუ “სხეული”, ა-ლა “თვალი”, ა-ლგმჰა “ყური”, ა-გოჟ “გული”, ა-ცა “კუჭი” ა-ფგნწა “ცხვირი”), არა მარტო აფხაზურ ენაში, არამედ მსოფლიოს ენათა უმრავლესობაშიც, გამოიყენება ცხოველთა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელადაც, რასაც თავისი ობიექტური საფუძველი აქვს:

ცოცხალ არსებათა დიდ ნაწილს მსგავსი ანატომიური აგებულება აქვს და მსგავს ორგანოთათვის ენები ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებენ.

ზემოხსენებულ თავში გაანალიზებულ ტერმინთა უმრავლესობა არსებითი სახელებია. მაგალითად: აჭყც “სიბრძნის კბილი”, აბაჯ “ძვალი”, აბლა “ზურგი”, აბზ “ენა”, აბლა “თვალი”, აგოტ “გული”, ადა “ძარღვი”, აცა “კუჭი”, აცაბ “კანი, ტყავი; ქერქი; ნაჭუჭი”, აჭბტ “პირი”, ახტ “თავი” და ა.შ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ დარგის არსებით სახელთა შორის ნაკლებია მარტივფუძიანი სახელები. ესენია: აფ “ქალის სასქესო ორგანო, ადა “ძარღვი”, ალა “თვალი”, აჟტ “ხორცი” და სხვა.

ამავე ჯგუფში ჭარბობს კომპოზიტური შედგენილობის სიტყვები. მაგალითად, სახელი აგოგ-ბჟტ-ნაცა “შუათითი” ზედმიწევნით ნიშნავს “შუაგულის თითს” და შედგება გოგ “გული; შუა”, ბჟტ “შუა” და ნაცა “თითი” ფუძეებისაგან. ასეთივე რთული სტრუქტურისაა სახელები: აგოგ-ფჟტ “ქალის ძუძუ”, აგოგ-შბფ-ლტმჟა “მახვილისებრი მორჩი”, ადა-შბ “მყესი”, აკატტა-ლაში “ბრმა ნაწლავი”, ალა-ცა “ქუთუთი”, ალტი-ჟოჯა “ლავიწი”, ალტმჟა-ბაგა “ყურის აპკი”, ალტმჟა-ცა-ბა-ჟო “ყურის გოგირდი”, ამაჟტა-ჟა-ბა-ბა-ბა “წელი”, აცა-ბ-ჟ “სხეული, ორგანიზმი”, ახა-ჟოჯა-ბჟტ “კეფა”, ახაფტ-ცჟტ “ღრძილი” და სხვა.

ზოგ შემთხვევაში ტერმინები იწარმოება ფუძეზე პოლიფუნქციური სუფიქსების დართვით. მაგალითად, ყველაზე ხშირად იხმარება სუფიქსები: ზოგადობის, კრებითობისა და აბსტრაქტულობის -რა ბოლოსართი (აბჟ. აგოგ შბფწა-რა // ბზიფ. -გოგფშბწა-რა “გულმკერდის ქვედა ნაწილი”, აჟატა-რა “წელი; ხორცის უძვლო ნაჭერი”...); ლოკატიური მნიშვნელობის მქონე სახელების მაწარმოებელი სუფიქსი -რთა // -თრა (ადა-ბ-ცართა “უკანა ტანი”, აზ-თრა “ნადვლის ბუშტი”, აკატა-ლ-თრა “საკვერცხე”, არტმ-თრა “მარდის ბუშტი”, აფა-რთა/აფა-თრა “პლაცენტა”...); იმავე სემანტიკის სუფიქსი -თა (ალაკ-თა “თვალის ბუდე”, ანკაბჟშბთა “მარდის ბუშტი”, აფსტრ-თა “ყველაზე სუსტი ადგილი სხეულზე”...); მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი გა- სუფიქსი (აჟკაა-გა “ძვიდე”...) და ა.შ.

აფხაზურ ენაში ადამიანის სხეულის ნაწილების ანალიზისას გამოირკვა, რომ საუხერხულო სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება ტაბუირებისა და ეფემერიზაციის ხერხი: ადა-ბ-ცართა “უკანა ტანი” (ზედმიწ.:

“გარეთ გასვლის ადგილი”), ა-ცეხცოტ “პენისი” (ზედმიწ.: “ნისკარტის თავის კანი”)... ამ დარგის ლექსიკაში ნასესხები მასალა მინიმალური რაოდენობით არის წარმოდგენილი: აჭაბპნ “ჭიპლარი, ჭიპი”, ა-კან “ჭორფლი”, ა-ჭატალა “ჯირკვალი”, ა-ღრს “მუცლის ღრუ”. აღნიშნული სიტყვები ქართველური ენებიდან არის ნასესხები.

თავი II

დაავადებებთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ლექსიკა

მეორე თავი შედგება სამი ქვეთავისაგან:

1. **დაავადებათა სახელწოდებანი.** ამ ქვეთავში განიხილება დაავადებათა აღმნიშვნელი საკუთრივ აფხაზური სახელები. აღნიშნული სახელებიდან შედარებით მცირეა მარტივფუძიანი სიტყვები, მაგალითად: ა-ბლტ “თიაქარი”, ა-შშ “ლიბრი”, ა-ფშრა “წითელი ქარი” და ა.შ., ხოლო რთულფუძიან სახელთა უმრავლესობა მიღებულია დერივაციის გზით, ან ფუძეთა შერწყმით (კომპოზიციით). მაგალითად: ა-ბაჟფწოარს “მოტეხილობა”, ა-გაანგტლარა “გულისცემის შეჩერება; არითმია”, ა-გაანტფწწრა “გულის გაფართოება”, ა-განშშთრა “ამნეზია”, ა-გოტქობღლრა “კუჭის წვა”, ა-ღაანზტმცარა “შეკრულობა”, ა-კანწწწრა “მეჭეჭი”, ა-ლარქოქო “ჯიბლიბო“, ა-მშოაადა “ოსტეომიელიტი”, ა-ჟოზვა “ჯილეხი”, ა-ფსმტტრა “გულის წასვლა”, ა-ფსტჩმ “სუსტი”...

რთულფუძიან სახელებში ერთ-ერთ კომპონენტად ყველაზე ხშირად გამოიყენება ა-გო “გული” ფუძე (ა-გაანგტლარა “გულისცემის შეჩერება; არითმია”, ა-გაანტფწწრა “გულის გაფართოება (დაავადება)”, აბჟ. ა-გაწოტწ, ბზიფ. ა-გაწოკრს “ფილტვების ანთება”, ა-გოტმსრა “გულისცემა”, ა-განშშთრა “ამნეზია”, ა-გოტქობღლრა “კუჭის წვა”, ა-გოტჩმაზარა “გულის დაავადება”, ა-გოტწწლარა “1. გულის მანკი; 2. რისამე მიძიმედ განცდა, რამის გამო წუხილი”). ამ ფუძეს მეცნიერები საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძედ მიიჩნევენ (საერთო ფუძე წარმოდგენილია როგორც ქართველურ ენებში, ასევე ადიღურში, ყაბარდოულში, აბაზურში, უბიხურში და მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში).

ისევე როგორც ქართულში, აფხაზურშიც ა-გო სიტყვის ფუძე მთელ რიგ რთულ ფუძეებსა და გამოთქმებს აწარმოებს. ქ. ლომთათიძე წერს, რომ

“დიდი გამოყენება აქვს ა-გოგ “გულის” აღმნიშვნელ ძირს როგორც ზმნურ პრევერბს და მრავალრიცხოვან კომპოზიტთა შემადგენელ კომპონენტს”. ა-გოგ კომპონენტის შემცველი რთულფუძიანი სიტყვები აფხაზურ ენაში აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პროცესებს, ადამიანის სხეულის ნაწილებს, დაავადებებს, სულიერ მდგომარეობას, განწყობას და ა.შ.

გოგ ძირის მეშვეობით ნაწარმოები სხეულის ნაწილებისა და დაავადებათა აღმნიშვნელი სახელები ძირითადად კომპოზიტური შედგენილობისაა (გვხვდება ორზე მეტი ფუძის შეერთებაც კი), რომლებიც ქმნიან 5 ძირითად მოდელს:

მოდელი “არსებითი სახელი + მასდარი”: აგაანგღლარა “გულისცემის შეჩერება; არითმია”. სახელი ნაწარმოებია ა-გოგ “გული” ფუძისა და აანგღლარა “გაჩერება, შეჩერება” მასდარის შეერთებით. ამ კომპოზიტური მასდარისაგან ზმნის კლასოვან-პიროვან ფორმათა წარმოების დროს კომპოზიტი იშლება შემადგენელ ორ კომპონენტად და გულის აღმნიშვნელი ფუძე სუბიექტის გამომხატველ სახელად რჩება, ხოლო მეორე კომპონენტი (მასდარი) ზმნის ჩვეულებრივ ფორმად იქცევა: სგოგ აანგღლოჲტ “ჩემი გული ჩერდება, გული მიჩერდება”. ვფიქრობთ, კომპოზიტის ასეთი ქცევა იმისი ამსახველია, რომ მასდარი ა-გაანგღლარა უკვე ტერმინოლოგიზებულია (ლექსიკალიზებულია), ანუ სამედიცინო შინაარსის მქონე ტერმინადაა ქცეული და კონკრეტული სხეულების დასახელების (ნომინატიური) ფორმაა, თუმცა მის შემადგენელ ნაწილებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ ბოლომდე შერწყმა ერთმანეთთან;

ა-გოგლარა “გულისცემა” კომპოზიტი მიღებულია გულის აღმნიშვნელ იმავე აგოგ სიტყვასთან ადარა “ცემა, ერთმანეთისთვის დარტყმა” მასდარის მიერთების გზით. ახალი მნიშვნელობა წარმოქმნილია იმის ხაზგასმით, რომ გული განუწყვეტლივ ცემს, ზედიზედ ისმის მისი ხმა (შდრ. ქართული: გულისცემა, გული ცემს, გული უცემს, გულისძგერა, გული ძგერს, გული უძგერს). ამ კომპოზიტურ მასდარსაც იგივე თავისებურება ახასიათებს, რაც ზემოთგანხილულ ა-გაანგღლარა ტერმინს, კერძოდ, სიტყვა ა-გოგლარა ფიზიოლოგიური პროცესის დასახელების (ნომინატიური) ფორმაა და უკვე ტერმინს წარმოადგენს, თუმცა ენაში ჯერ კიდევ არ გამქრალა მისი შემადგენელი ორივე კომპონენტის დამოუკიდებელ სიტყვებად აღქმა, რაც

ვლინდება დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას კომპოზიტის ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაშლის ფაქტში: “გული მიცემს” აფხაზურად იქნება სგოგ ეასუეფტ;

აგოჭქობღლრა “კუჭის წვა” კომპოზიტი შედგება აგოგ “გული” სახელისა და აქობღლრა “რისამე რამის ზედაპირზე წვა” მასდარის შერწყმის გზით. იგულისხმება კუჭის წვის დროს მუავიანობის მომატების შეგრძნება კუჭის ზემოთ, საყლაპავი მილის ზედა ნაწილში, რაც ადამიანის ანატომიის ნაკლებად მცოდნე ადამიანს საკუთრივ გულის ზედაპირზე, გულის კოვზის შიგნითა მხარეს მიმდინარე პროცესად ეჩვენება. ამიტომ გაესმის ხაზი ამ აფხაზურ სიტყვაში გულზე, გულის ზედაპირზე წვას. ამ კომპოზიტურ მასდარსაც იგივე თავისებურება ახასიათებს, რაც ზემოთგანხილულ აგოაანგღლრა და აგოეასრა ტერმინებს. სიტყვა აგოგქობღლრა-ს შემთხვევაშიც, ენაში მისი შემადგენელი კომპონენტებიც დამოუკიდებელ სიტყვებად აღიქმება. ეს ვლინდება დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას კომპოზიტის ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაშლის ტენდენციაში.

აგოჭხნჭირა “გულისრევა” ტერმინი შედგება აგოგ “გული” სიტყვისა და ახენჭირა “დაბრუნება” მასდარისაგან. ერთი შეხედვით, ამ შემთხვევაში სემანტიკური ალოგიკურობაა, რადგან გულისრევა “გულის დაბრუნების” სემანტიკასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ “დაბრუნების” ცნებასთან ახლოსაა “ამობრუნების, ამოტრიალების” ცნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპოზიტის მეორე კომპონენტი ახენჭირა ამ კომპოზიტში გამოყენებული უნდა იყოს სწორედ “ამობრუნების, ამოტრიალების” მნიშვნელობით. ანალოგიისათვის შდრ. ქართული: **ბავშვს გული აერია, ლამის გულ-მუცელი ამოუბრუნდა.** ეს აფხაზური ტერმინი, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილი სხვა ტერმინები, დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას შემადგენელ სიტყვებად იშლება: აფხაზურად “გული მერევა” იქნება სგოგ ხენჭიუეფტ.

აგოჭთყარა “შიში; ფორიაქი” მიღებულია აგოგ “გული” სიტყვასთან ათყარა “ჩაღრმავებული ადგილიდან ამოვარდნა” მასდარის შერწყმით და მთლიანად ტერმინს აქვს სემანტიკა: “შიგნიდან გულის ამოვარდნა > შიში”. ანალოგიური წარმოშობისაა ქართული ფრაზეოლოგიაში: **“შიშისაგან გული ამოუვარდა”.** ამ კომპოზიტური ტერმინის შემთხვევაშიც, დრო-კილოთა

წარმოებისას, იგი ორ შემადგენელ სიტყვად იშლება: “მეშინია” იქნება სგოგ თქოატი;

აგოგწალარა “1. გულის მანკი; 2. რისამე მძიმედ განცდა, რამის გამო წუხილი” ნაწარმოებია აგოგ “გული” სახელისა და აწალარა “რისამე ქვეშ შესვლა” მასდარისაგან. საანალიზო სიტყვის სტრუქტურა და შემადგენელ კომპონენტთა ამოსავალი სემანტიკის ჯამი ახლოს არ დგას თვით გულის მანკის სპეციფიკასთან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი წინაპრები არ იყვნენ ღრმად ჩახედულნი ადამიანის ანატომიასა და შინაგანი ორგანოების ფიზიოლოგიის საკითხებში, ამ სიტყვის ეტიმოლოგია სხვაგვარად უნდა აიხსნას. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ახსნა ასეთი შეიძლება იყოს: შესაძლებელია, აფხაზური ტერმინი აგოგწალარა “მანკი” დაკავშირებული იყოს გულის მანკისთვის დამახასიათებელ გულისწასვლის, ანუ გულის “გაპარვის”, სხეულის სიღრმეში “ჩაძირვის” შეგრძნებასთან. რაც შეეხება ტერმინის მეორე მნიშვნელობას (“რისამე მძიმედ განცდა, რამის გამო წუხილი”), იგი უნდა უკავშირდებოდეს დარდის გულის სიღრმეში შეღწევას. ეს სიტყვაც, დრო-კილოთა წარმოებისას ცალ-ცალკე სიტყვებად იშლება: სგოგ წალოატი “რადაცას ძალიან განვიცდი”...

მოდელი “არსებითი სახელი + არსებითი სახელი”:

აგოაბზარა “ჯანმრთელობა” შედგება აგოგ “გული” სახელისა და აბსტრაქტულობის ა-ბზია-რა “სიკარგე; სიკეთე, კარგობა” ნაზედსართავალი არსებითი სახელისაგან, რაც მთლიანობაში გულისხმობს “გულის სიკარგეს”, ანუ ჯანმრთელობის ქონას;

აგოგჩმაზარა “გულის დაავადება” ნაწარმოებია აგოგ “გული” სახელისა და ჩერქეზული წარმოშობის აჩგმაზარა “დაავადება, ავადმყოფობა, სენი” აბსტრაქტული სახელის შეერთებით (-რა დაბოლოება აბსტრაქტულ სახელთა აფხაზური სუფიქსია)...;

მოდელი “არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი”:

ამ იშვიათ მოდელს განეკუთვნება, მაგალითად, სიტყვა აგოგბჟნაცია “შუათითი”, რომელიც მიღებულია აგოგ “გული, შუა” სახელის ფუძეზე ა-ბჟარა “შუა” ზედსართავი სახელის ბჟ ძირისა და ა-ნაცია “თითი” არსებითი სახელის ფუძის დართვით. აღსანიშნავია, რომ ამ კომპოზიტში აგოგ ფუძე აღნიშნავს არა “გულს”, არამედ “შუას”.

მოდელი “არსებითი სახელი + მასდარის ნაწილი + არსებითი სახელი”:

აგ^აე^ას^აბ^აჟ^ა “გულისცემა” შედგება სამი კომპონენტისაგან: არსებითი სახელი ა-გ^ა “გული” + ა^ას^არა “ცემა” მასდარის უსუფიქსო ნაწილი + არსებითი სახელი აბ^აჟ^ა “ხმა”. კომპოზიტი ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც “გულის ცემის ხმა”.

აგ^ან^აქ^აბ^აჟ^ა “კენესა” მიღებულია აგ^ა “გული” არსებითი სახელის ფუძეზე ა-ქ^ა-რ^ას “კენესა” მასდარის ქ^ა ძირისა და ა-ბ^აჟ^ა “ხმა” არსებითი სახელის დართვით. კომპოზიტი ზედმიწევნით ნიშნავს “გულის კენესის ხმას”;

მოდელი “არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი”:

აგ^არ^აზ^ა “კეთილი, გულკეთილი” ნაწარმოებია გულის აღმნიშვნელ ფუძეზე ა-რ^აზ^ა “კეთილი” ზედსართავი სახელის ფუძის დართვით. მსახდურელის მდებარეობა პოსტპოზიციურია (შდრ. ქართული “გულკეთილი”).

აგ^აჭ^ალ^ალ^ა “1. კეთილი, გულკეთილი; 2. ალალი” მიღებულია გულის აღმნიშვნელ ფუძეზე თურქული ენის მეშვეობით ნასესხები არაბული ჰალალ “ალალი” ფუძის შეერთებით (შდრ. აფხაზური ა-გ^არ^აზ^ა და ქართული “გულკეთილი”, “გულალალი”).

2. სამკურნალო საშუალებათა სახელწოდებანი. ამ ქვეთავში განიხილება დაავადებათა სამკურნალო საშუალებათა სახელებიდან ძირითადი ტერმინი ა-ხ^აში “წამალი”, რომელსაც აქვს მეორე მნიშვნელობაც და აღნიშნავს “ტყვიაწამალსაც”, ზუსტად ისე, როგორც ქართულ ენაშია. ამ ხშირად ხმარებული სიტყვის ეტიმოლოგია ნათელი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასახელებული ტერმინი ხშირად დასტურდება სხვადასხვა სამკურნალო საშუალებათა, განსაკუთრებით სამკურნალო ბალახებისა და მალამოების რთულფუძიან სახელწოდებათა ერთ-ერთ კომპონენტად. ხშირად ამა თუ იმ მცენარის სახელწოდება დაკავშირებულია იმ დაავადების სახელწოდებასთან, რომლის განკურნვისთვისაც გამოიყენებოდა ხალხში. მაგალითად, მოდელით “დაავადების სახელწოდება + ხ^აში (< ახ^აში) “წამალი” ნაწარმოებია მცენარეთა აღმნიშვნელი სახელების დიდი ნაწილი: ა-ბ^არ^აბ^აც^ა ახ^აში “ღვედკეცი” (ზედმიწ.: “ალერგიის წამალი”), ა-ბ^ალ^აგ^ა ახ^აში “რძიანა” (ზედმიწ.:

“თიქარის წამალი”), ა-დრუ ახში “გულსისანა” (ზედმიწ.: “ჯილეხის წამალი”), ა-თაფთა ახში “თეთრძირა” (ზედმიწ.: “ჩიყვის, ცხიმგროვის წამალი”), ა-კანწვწრახში “მეჭეჭა” (ზედმიწ.: “მეჭეჭის წამალი”), ა-კატიჯარ ახში “დათვიმსხალა” (ზედმიწ.: “დურბელის, ლიმფური კვანძის ანთების წამალი”), ა-კება ახში “საპონელა” (ზედმიწ.: “კიბოს წამალი”), ა-ნაცხტკოგრშა ახში “გობისცხვირა” (ზედმიწ.: “პანარიციუმის, საწერელის წამალი”), ა-ჟიზუა ახში “შავწამალა” (ზედმიწ.: “ჯილეხის წამალი”), ა-ფშრახში “ოშოშა”, “თავშავა” (ზედმიწ.: “წითელი ქარის, სიწითლის წამალი”), ა-შტქ ახში “ასისთავა” (ზედმიწ.: “მალარიის წამალი”), ა-ხიჭტკდშოარა ახში “მჭადა” (ზედმიწ.: “ბავშვის მოწყვეტის წამალი”), ა-ჯმარტხში “ხარისხლიქა” (ზედმიწ.: “თხების წამალი”), ა-ვანტზახში “ისლი” (ზედმიწ.: “ელენთის წამალი”), ა-კაზტქ ახში “დოლო, მჟაუნა” (ზედმიწ.: “საშვილოსნოს წამალი”), ა-მგიახ ახში “ველური პიტნა” (ზედმიწ.: “მუცლის ტკივილის წამალი”).

სამკურნალო საშუალებათა აფხაზურ სახელწოდებათა უმეტესობა რთულფუძიანი სახელები, ანუ კომპოზიტებია. საზოგადოდ, თანამედროვე აფხაზურ ენაში რთული სიტყვების წარმოების ყველაზე გავრცელებული და პროდუქტიული ხერხია კომპოზიცია. აღნიშნული მოდელის მიხედვით წარმოიქმნება სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს. მაგალითად, არსებით სახელთა ფუძეების შეერთებით ნაწარმოებია ერთ-ერთი ბალახის სახელწოდება ა-ცგოტხშ – სვისებრთა ოჯახის ბალახი. ეს სიტყვა ზედმიწევნით ნიშნავს “კატის რძეს” და შედგება ორი არსებითი სახელის ფუძისაგან: ა-ცგოტ “კატა” + ა-ხშ “რძე”. სახელი მოტივირებულია იმით, რომ ბალახის დერო რძისმაგვარ სითხეს შეიცავს (ანალოგიისათვის შდრ. ქართ. კატაბალახა).

3. დაავადებათა და მკურნალობის საშუალებათა სახელების მორფოლოგიური მოდელები. ამ ქვეთავში გაანალიზებულია დაავადებათა და მკურნალობის საშუალებათა აღმნიშვნელი წარმოქმნილი და რთულფუძიანი (კომპოზიტური) ტერმინები, ერთზე მეტსიტყვიანი შესიტყვებები. დადგინდა, რომ ამ ჯგუფში მარტივფუძიანი სახელები რთულფუძიან სახელებთან შედარებით ბევრად ნაკლებია.

მარტივფუძიან ტერმინთა სტრუქტურაში შედის მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი და ფუძე (ძირი). ამ მოდელს

განეკუთვნება დაავადებათა შემდეგი სახელწოდებანი: ა-ბლგ “თიაქარი”, ა-ყაბ “კამეჩის დაავადება” და ა.შ. ზოგჯერ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი შერწყმულია სხვა სიტყვათმაწარმოებელ პრეფიქსთან და ამჟამად აღარ გამოიყოფა ფუძისაგან: ამმჰია < ა-ამმჰია “ხველა”...

წარმოქმნილ სახელებში სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსის გარდა წარმოდგენილია სიტყვათმაწარმოებელი (დერივაციული) აფიქსები: -ტ(ღ), -გა, -ჯღ, -რა, -ხა, -და, -და-ხა... მათგან ყველაზე პროდუქტიულია -გა, -რა სუფიქსები.

-ტ(ღ) სუფიქსის სიტყვათწარმოებით ფუნქციას გამოყოფს აფხაზური ენის თითქმის ყველა მკვლევარი. ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ “ტ(ღ) აფხაზურ ენაში არის კუთვნილების აფიქსი და ძირითადად გამოიყენება ნაზმნარ სახელებში, მოქმედების სახელთა სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის სახით”. მკვლევრის აზრით, სუფიქსი -ტ(ღ) სიტყვა “საკუთრების, კუთვნილის; მონის” აღმნიშვნელი ა-ტ(ღ) ფუძისაგან არის ნაწარმოები. -ტ(ღ) სუფიქსის მეშვეობით იწარმოება ნაზმნარი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ქმედების ობიექტს, დანიშნულების საგანთა სახელებს, მაგ.: ა-ძა-ტ “შესაწირი ცხოველი”, ა-კოგზმა-ტოგ “საგანი, რომელსაც ავადმყოფს თავს შემოავლებენ”, ა-თჰია-ტ “შესალოცი, გამოსალოცი”. სამედიცინო ტერმინებში ამ სუფიქსის მეშვეობით ნაწარმოები არსებითი სახელები არცთუ იშვიათად გვხვდება. ესენია: ა-ხ-შ-ტოგ “მალამო” (ზედმიწვევით “წასასმელი”), არტჟო-ტო 1. “სასმელი”, 2. “ნახარში, წვენი”, ახ-შო-ტო “სამკურნალო, განსაკურნავი”. უკანასკნელი სიტყვისაგან, თავის მხრივ, მიღებულია ახალი სამედიცინო ტერმინები: მასდარი ახ-შო-ტო-რა “მკურნალობა, განკურნება”, ახ-შო-ტო-ჯღ “მკურნალი”, ახ-შო-ტო-გა “სამკურნალო საშუალება, წამალი”, ახ-შო-ტო-რა “მკურნალობის ადგილი, საავადმყოფო”, აძღლა-ახ-შო-ტო-რა “ბალნეოლოგიური სამკურნალო”. ამ ახალ ფორმებში გამოყენებულია მასდარის მაწარმებელი -რა, მოქმედი საგნის აღმნიშვნელი -ჯღ, მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი -გა და ლოკატიურობის -რთა სუფიქსები.

ზოგადად, აფხაზურ წარმოქმნილ სახელებში ხშირად დასტურდება სუფიქსი -რა, რომელიც ამ ენაში ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული დერივატია. ამას აღნიშნავს აფხაზური ენის თითქმის ყველა მკვლევარი (ქ. ლომთათიძე, ა. გენკო, კ. შაყრილი, ა. ხეცია, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი...),

მაგრამ ყველაზე სრულად ამ სუფიქსის ფუნქციური დახასიათება წარმოდგენილი აქვს ა. ხეციას, რომელმაც მისი 10-მდე სიტყვათწარმოებითი ფუნქცია გამოყო. სამედიცინო ტერმინოლოგიაში სუფიქსი **-რა** უპირატესად გამოიყენება ნასახელარ ზმნათა, ან აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად: **ამპიპ** “ხველა” (სახელი) – **ამპიპ-რა** “დახველება”, **ახელაგა** “სუფელი, გიჟი” – **ახელაგა-რა** “გაგიჟება”, **აგაწყ** “მძიმე ავადმყოფი” – **აგაწყ-რა** “ძლიერ ავად ყოფნა, ტანჯვა”, **აპოგაპიკ** “დამბლა” – **აპოგაპიკ-რა** “დამბლის დაცემა, პარალიზება”, **აღწ** “შეხორცებული იარა” – **აღწ-რა** “შეხორცება”...

აფხაზურში საზოგადოდ სუფიქსი **-გა** ჩვეულებრივ ერთვის ზმნის ფუძეს და აწარმოებს იმ იარაღის მნიშვნელობის მქონე არსებით სახელს, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ ქმედებას, ხოლო სამედიცინო ტერმინოლოგიაში კი ძირითადად მკურნალობის საშუალებას, ან სამედიცინო ინსტრუმენტს აღნიშნავს. ეს სიტყვები უმეტესწილად რთული შედგენილობისანი არიან, პირველი კომპონენტი სახელის ფუძეა, რომელიც მიგვითითებს, თუ რაზე (მკურნალობის რომელ ობიექტზე) მოქმედებს სამკურნალო საშუალება: **აფხძღლხ-გა** “ოფლმდენი საშუალება” – **აფხძღ** “ოფლი” + **აღხრა** “გამოდება, გამოტანა”. ასეთივე მოდელით ნაწარმოები სიტყვებია: **აშმოურარტა-გა//აშმოურახჩბ-გა** “სიცხის დამწვევი”, **აყ-გა** “ჩირქროვის გასახსნელი დანა”, **ახტფშმა-გა** “იარაღი, რომლითაც ადამიანის სხეულიდან ტყვია ამოაქვთ”, **არკუშ-გა** “ნარკოზი, გამაყუჩებელი”, **აშმოურაში-გა** “სიცხის საზომი, თერმომეტრი”...

აფხაზურ ენაში სუფიქსი **-ხა** დაერთვის სახელის ფუძეს და აწარმოებს გარდაქცევითობის სემანტიკის მქონე გარდაუვალ ნასახელარ დინამიკურ ზმნას. ეს სუფიქსი დასტურდება ზოგ სამედიცინო ტერმინშიც და მას მოსდევს ხოლმე მასდარის **-რა** სუფიქსი: **აბზრა-ხა-რა** “კარგად გახდომა”, **აძცა-ხა-რა** “უარესად გახდომა”, **აღწ-ხა-რა** “მომჯობინება”, **ახაგა-ხა-რა** “გაგიჟება”, **ამგაადუ-ხა-რა** “დაფესმძიმება”, **აფსტლაცა-ხა-რა** “გასუქება”, **აფსტფწა-ხა-რა** “ხრჩობა, ქოშინი”, **ამსა-ხა-რა** “გარქოვანება”, **აჭმაჰა-ხა-რა** “გაშეშება”, **აფტრხაგა-ხა-რა** “წყენა, მოწამლვა, ვნების მიყენება”, **ალაში-ხა-რა** “დაბრმავება”...

აფხაზურ ენაში სუფიქსი **-და** უქონლობას გამოხატავს. სამედიცინო ტერმინებში მას შეიძლება მოსდევდეს მასდარის/აბსტრაქტულობის **-რა** სუფიქსიც: **აზვ-და-რა** “ჯანმრთელობა”, ანუ “სენის არქონა” (აზვა

“ავადმყოფობა, ინფექციური დაავადება”); ახ•ში•გ-და-რა “უწამლობა, წამლის უქონლობა”; აგ•შმა-და-რა “გემოს შეგრძნების უქონლობა; უმადობა”, ახ•შპ•რა-და-რა “უნაყოფობა, უშვილობა”... მოცემული მოდელი შეიძლება გართულებული იყოს უარყოფითი მ ნაწილაკითაც; ა-მ-ცოა-და-რა “უძილობა”. ზოგჯერ უარყოფის შინაარსი გადმოცემულია მხოლოდ ზმნის ფუძეში ჩართული მ აფიქსითაც: აგოა-მ-ბზარა “ავადმყოფობა”, ალა-მ-შოარა ზედმიწევნით “დაუორსულებლობა; ვერ დაორსულება”.

თანამედროვე აფხაზურში ნეოლოგიზმების მაწარმოებლად ერთობლივად გვევლინება ა-კ-რს “დაჭერა, ჭერა” ზმნის კ ძირი და კაუზატივის მაწარმოებელი რ- პრეფიქსი. ხსენებული დერივატების პროდუქტიულობა ძალზე მაღალია სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც:

დერივატი კ: ააბ-კ-რა “ცოფი; გაცოფება”, აფშპ-კ-რა “რევმატიზმი”, აცოგმზმ-კ-რა “უძილობა”, აგოაწი-კ-რს “ფილტვების ანთება”, აჭერკაპლ-კ-რა “კრუნჩხვა”...

დერივატი რკ: ახ•ში•გ-რ-კ-რა “წამლით გაუღენთვა, მოწამლევა”, აშპჰამგ-რ-კ-რა “წამლით გაუღენთვა, მოწამლევა”...

თავი III

ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა

მესამე თავში წარმოდგენილია ადამიანის ფიზიოლოგიურ პროცესებთან და ამ პროცესთა პროდუქტებთან დაკავშირებული აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურული, სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგები.

აღნიშნული ტერმინოლოგიის მოპოვება და დამუშავება გარკვეულ სირთულეებს წარმოადგენდა, რადგანაც თანამედროვე აფხაზურში ძირითადად გამოიყენება ამ ქვედარგთან დაკავშირებული რუსული ტერმინოლოგია. აგრეთვე სირთულეს წარმოადგენდა სავსე მუშაობის დროს გარკვეული ტერმინების (აფხაზებში ე.წ. სასირცხვილო ტერმინებად მიჩნეული სახელების) მოპოვება-ჩაწერა, რადგანაც ამგვარი სიტყვები ძირითადად ტაბუირებულია და აღწერით, ან ევფემიზაციით არის წარმოდგენილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებთან და მათ პროდუქტებთან დაკავშირებული ლექსიკის ერთი ნაწილი ფრაზეოლოგიზმებში და მხატვრულ ლიტერატურაში იშვიათად დასტურდება.

ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ზოფიერთი აფხაზური სიტყვის წარმოებაში გვხვდება საურთიერთო კატეგორიის ა- პრეფიქსი (აჰმაკჭრა "დაჭკნობა (კანისა)", აჰმსარა "დაცემინება", აჰმჰია "ხველა" – არს.სახელი, აჰმჰიარა "ხველა, დახველება", აჰსრა "ცემა, ძგერა (გულისა)", "ძლიერი სუნთქვა" და ა.შ.).

საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვები, რომლებიც ნაწარმოებია ა-გ-გ "გული" ფუძის გამოყენებით.

ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის მცირე ნაწილს წარმოადგენს სახელური ტერმინები: ა-გ-ჰმა "გემო; მადა" - ნასესხებია ქართველური ენებიდან, შდრ.: ქართული გემო, ა-დ-გ-ა "ყრუ", ა-ზ (აბაზ. ზგ, აღიდ. ზაზგ) "ნაღველი" (ნაღველის ბუშტის მიერ გამოყოფილი ნივთიერება), ა-ლა-ც-კ-ა-ბ "თვალის ჩირქოვანი გამონადენი" (კომპოზიტური შედგენილობის სიტყვა, სადაც შედის ა-ლა "თვალი" + ც-კ-ა-დან "კანი". შდრ. აღა-ც-ა-ა "ქუთუთო") + უცნობი წარმომავლობის კ-ა-ბ სეგმენტი. შესაძლებელია, ეს სეგმენტი იგივე იყოს, რაც დასტურდება ა-ც-გ-კ-ბ-არ "წვეთი" სიტყვაში), ა-რ-გ-მ-მ "შარდი", ა-ფ-ხ-ბ-ტ "სიზმარი", ა-ფ-ხ-ბ-ტ (აბაზ. ფხბტ) "ოფლი", ა-ფ-გ-ნ-წ-ა-ყ "წვინტლი" (შედგება ორი კომპონენტისაგან: ა-ფ-გ-ნ-წ-ა "ცხვირი" + ა-ყ-წ "ნაკელი, ფუნა" სიტყვის ძირი. ამოსავალი სემანტიკაც გასაგებია: "ცხვირის ნაკელი") და ა.შ.

ფიზიოლოგიურ ტერმინთა უდიდესი ნაწილი ზმნებია: ა-ბ-ზ-ხ-ჭ-ქ-ც-ა-ჟ-ა-რა "ჩლიფინი" – რთული შედგენილობის სიტყვა. პირველი კომპონენტი ა-ბ-ზ "ენა", მეორე კომპონენტი ხ-ჭ-ქ ფუძეა არსებითი სახელისა ა-ხ-ჭ-ქ "კიდე, ნაპირი", მესამე კომპონენტი ც-ა-ჟ-ა-რა კი ა-ც-ა-ჟ-ა-რა "ლაპარაკი, საუბარი" ზმნის ფუძეა. ზედმიწევნით ტერმინი ითარგმნება როგორც : "ენის კიდეზე, ენის კიდით ლაპარაკი"; ა-დ-გ-ქ-დ-ჭ-ქრა "ხშირი გულისცემა, ბაგაბუგი, დაგადუგი" – ამ სიტყვაში გამოიყოფა ზოგადობის ა- პრეფიქსი და მასდარის -რა მაწარმოებელი, ხოლო დ-გ-ქ-დ-ჭ-ქ გულისცემის ხმის მიმბაძველი რედუპლიცირებული ძირია; ა-დ-ა-ხ-ც-არა "დეფეკაცია" – კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა. შედგება ა-დ-გ "მინდორი; გარეთ" ფუძისგან

დაუშლელად იცვლის ფორმას (სემლაშუეტ “მშია, შიმშილი მკლავს”), ანდა იშლება შემადგენელ სიტყვებად (ამლა საშუეტ “მშია, შიმშილი მკლავს”); ა-ჟამკრა “ჭკნობა, გახდომა; სიგამხდრე” – რთულფუძიანი სიტყვაა, ნაწარმოებია პრედიკატიული სინტაგმის საფუძველზე, რომელიც მოქმედების ობიექტის აღმნიშვნელ კომპონენტს შეიცავს. ამ მოდელში აღსანიშნავია უარყოფის მაწარმოებელი მ, რომელიც ტერმინს უარყოფითი მოქმედების მნიშვნელობას ანიჭებს: ა-ჟე “ხორცი”, ა-მ-კრა “ვერ დაჭერა”, ანუ ტერმინი ნიშნავს “ხორცის სხეულზე ვერ დაჭერას, გახდომას, დაჭკნობას”; ა-ჟკრა “გასუქება, მომატება” – ეს ტერმინი სემანტიკურად ახლახან განხილული ტერმინის ანტონიმია. შედგება ა-ჟე “ხორცი” და ა-კრა “დაჭერა” სიტყათა ფუძეებისაგან, ხოლო ზედმიწევნით “სხეულზე ხორცის მოკიდებას”, ანუ “გასუქებას” ნიშნავს; ა-ფსთაზაარა “ცხოვრება; სიცოცხლე” – კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა, სადაც ა-ფსტ “სულს” ნიშნავს, ხოლო ა-თა-ზაა-რა “რადაცის შიგნით რაიმეს ყოფნა” ზმნის ძირია. მთლიანად ა-ფსთაზაარა ზედმიწევნით “სხეულში სულის ყოფნას” ნიშნავს; ა-ქიფსტჩჰარა “ხენეშა, ოხერა” – კომპოზიტი შედგება ქიფ-ლოკატიური პრევერბისაგან (აღნიშნავს “რამის ზედაპირზე რადაცის კეთებას”), ფსტ ელემენტი ა-ფსტ “სული” არსებითი სახელის ფუძეა, ხოლო ჩჰა მარცვლის რაობა ბუნდოვანია და დამატებით კვლევას მოითხოვს; ა-ცოანტრრა “გრძნობა; შეგრძნება” – რთული შედგენილობის ტერმინია, რომელიც შედგება ა-ცოა “კანი” და ა-ნტრრა “შეგრძნება; ზემოქმედება, გავლენა” ფუძეებისაგან; ა-ძკათიარა “შარდვა” – კომპოზიტური შედგენილობის ტერმინია, სადაც ა-ძტ “წყალი” + ა-კათიარა “გადასხმა, დაქცევა, დაღვრა”, ზედმიწევნით “წყლის გადასხმა, დაქცევა, დაღვრა”; ა-ჭმარჰანსრა “დამთქნარება” – ამ სიტყვაში ჭმა მარცვალი ა-ჭმტ “პირი” სიტყვის არქაული ძირია, მისი მომდევნო რ-თანხმოვანი კაუზატივის პრეფიქსი ჩანს, ხოლო ჰანს სემენტის რაობა სარკვევია; ა-ჭმტნარა “გაღვიძება” – ამ სიტყვაშიც ა-ჭმტ “პირი” სახელია, ა-ნარა გარდაუვალი ზმნაა და ნიშნავს “გაჭიმვას, მოქაჩვას”. ზედმიწევნით “პირის გაჭიმვა”. სავარაუდოა, რომ ტერმინი თავიდან მთქნარებას აღნიშნავდა და მერე შეიცვალა სემანტიკა...

ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკის ანალიზის დროს გამოვლინდა, რომ ტერმინთა უმრავლესობა ზმნებია და ნაკლებად დასტურდება სახელური ტერმინები. მაგალითად, ა-ძარა “ჭამა”, ა-ხი-რა “დაჭრა”, ა-ცოარა “დაძინება”, ა-ცოარა “წოვა”, ა-ძიარა “პირღებინება” და სხვა.

აგრეთვე ირკვევა, რომ ფიზიოლოგიის ამსახველ ზმნათა დიდი ნაწილი რთულფუძიანია. მათ საწარმოებლად გამოყენებულია სხვადასხვა მორფოლოგიური საშუალებები, უპირატესად კი კომპოზიცია და ლოკატიური პრევერბები: აგიფსრა “გულისცემა”, აგოთყარა “შიში; ფორიაქი”, აგოზუნჰიარა “გულისრევა”, ალაფშაშაშაარა “ჰალუცინაცია”, აქოფსტჩჰარა “ხენეშა, ოხვრა”, აყოგსრა “დახამხამება”, აჟუგსრა “ყნოსვა”, აძკათიარა “შარდვა”, აწიგჰარა “ტირილი”, აჟამყიარა “ღეჭვა”, აჟმარჰისრა “დამთქნარება”, აჟმუნარა “გადვილება”, ახიანჩარა “ხრჩობა, დახრჩობა”, ახილაშაარა “გადაცდენა, გადაცდომა (ლუკმისა, ნერწყვისა)”, აჰაქფსტჩჰარა “ქოშინი, მძიმედ სუნთქვა”.

ლოკატიური პრევერბები: მა- – ამაკჰარა “დაჭკნობა (კანისა)”, ამაჰიარა “ხველა”...; ლა- – ალაშაარა “ჩასახვა”...; ქიგ- – აქიგფსტჩჰარა “ხენეშა, ოხვრა” და ა.შ.

საუხერხულო სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება ეფემერიზაციის ხერხი; ადოანცარა “ღეფეკაცია”, ადინგცარა “ფეკალია”, აძკათიარა “შარდვა”, აწი “შარდი”, აჰისა ირგუნუა, აჰისა ირბო, აჰილატი „მენსტრუალური ციკლი”.

ნასესხები ლექსიკა მინიმალური რაოდენობითაა წარმოდგენილი: აბლანამ “ბაღლამი” (თურქ.), აგჰამა “გემო; მადა” (ქართ. გემო).

დასკვნები

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია 350-ზე მეტი აფხაზური ლექსიკური ერთეული, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან, დაავადებებთან და მათ მკურნალობასთან.

დისერტაციაში განხილული მასალის ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ანატომიურ ტერმინთა უმრავლესობა სახელებია, ხოლო ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ ტერმინთა უმრავლესობა ზმნებია და მათ შორის ნაკლებად დასტურდება სახელური ტერმინები;

2. სომატურ სახელთა დიდი ნაწილი კომპოზიტური შედგენილობისაა; ფიზიოლოგიური პროცესების აღმნიშვნელ ზმნათა და ფიზიოლოგიური

პროდუქტების ამსახველ სახელთა დიდი ნაწილი რთულფუძიანია. მათ საწარმოებლად გამოყენებულია სხვადასხვა მორფოლოგიური საშუალებები, უპირატესად კი კომპოზიცია და ლოკატიური პრევერბები.

დაავადებათა და სამკურნალო საშუალებათა სახელწოდებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნულ ქვედარგში ჭარბობს წარმოქმნილი და რთულფუძიანი (კომპოზიტური) ტერმინები, აგრეთვე ერთზე მეტსიტყვიანი შესიტყვებები, მარტივფუძიანი სახელები კი შედარებით ნაკლებია.

3. საუხერხულო სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება ევფემიზაციისა და ტაბუირების ხერხები;

4. ანატომიასთან დაკავშირებული ნასესხები ლექსიკა მინიმალური რაოდენობით არის წარმოდგენილი;

5. ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინების დიდი ნაწილი ფრაზეოლოგიზმებსა და მხატვრულ ტექსტებში დასტურდება; ფრაზეოლოგიზმებსა და მხატვრულ ტექსტებში ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინები (ტაბუდადებული ტერმინები) ნაკლებად არის წარმოდგენილი;

6. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიდი ნაწილი შედგენილობისა და სემანტიკის მხრივ სრულად, ან ნაწილობრივ ემთხვევა ქართულ ფრაზეოლოგიზმებს: იგო ცეატი “შეეშინდა” = “გული წაუვიდა”; ილუმბა ითასიტი = “ყური მოჰკრა” და ა.შ.

7. აფხაზურ ენაში ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ნასესხები ლექსიკა მინიმალური რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც საკუთარი ფონდის სიმდიდრით არის განპირობებული.

8. დაავადებათა და სამკურნალო საშუალებათა მარტივფუძიანი სახელწოდებების სტრუქტურაში შედის მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი და ფუძე (ძირი). ამ მოდელს განეკუთვნება დაავადებათა შემდეგი სახელწოდებანი: აბლგ “თიაქარი”, ამმშა “ხველა”, აყაბ “კამეჩის დაავადება” და ა.შ.

ამავე ჯგუფის წარმოქმნილ სახელებში სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსის გარდა წარმოდგენილია სიტყვათმაწარმოებელი (დერივაციული) აფიქსები: -ტი(ღ), -გა, -ჰე, -რა, -ხა, -და, -და-ხა... მათგან ყველაზე პროდუქტიულია -გა, -რა სუფიქსები.

დაავადებებისა და მკურნალობის აღმნიშვნელ აფხაზურ სამედიცინო ტერმინებში დიდი რაოდენობით გვხვდება რთულფუძიანი სიტყვები. მათი უმრავლესობა იწარმოება კომპოზიციით შემდეგი მოდელის მიხედვით: დაავადებული ორგანოს სახელი + სიტყვები აჩმაზარა “დაავადება”, ან ახაა “ტკივილი; სენი”.

ტერმინების კომპონენტები წარმოდგენილია მეტყველების შემდეგი ნაწილებით: არსებითი სახელი + არსებითი სახელი, არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი + ზმნის ფუძე.

არსებითი სახელი + არსებითი სახელი მოდელის მიხედვით აგებული მრავალი კომპოზიტი ტერმინის პირველი კომპონენტი გამოხატულია დაავადებული ორგანოს აღმნიშვნელი არსებითი სახელებით: ამგაა “მუცელი”, აუატალა “ჯირკვალი”, ალა “თვალი”, აღმჭა “ყური”, ახაფც “კბილი”, აზ “ნადველი”, აბლა “ხურგი”, აბაჰ “ძვალი”, აცა “კუჭი”, ახადა “ყელი”, აგოტ “გული”, აცაან “კანი”, აგაწან “ღვიძლი”. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაავადების სახეობის ვერბალური კონკრეტიზაცია ხორციელდება დაავადებული ორგანოს აღმნიშვნელი პირველი კომპონენტით.

ამგვარ ტერმინთა მეორე კომპონენტად გვევლინება სიტყვები ახაა “ტკივილი”, ანდა აჩმაზარა “დაავადება”.

ორგანოს დასახელება + ახაა: ამგაახაა “მუცლის ტკივილი”, აუატალახაა “ჯირკვლის ტკივილი”, აცაახაა “კუჭის ტკივილი”, ალახაა “თვალის ტკივილი”, აღმჭახაა “ყურის ტკივილი”, ახაფცახაა “კბილის ტკივილი”, აბლახაა “თვალის ტკივილი” და ა.შ.

გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინების სხვაგვარი, გამარტივებული ფორმებიც, როცა ახაა სიტყვის მხოლოდ თანხმოვანია დარჩენილი, მაგალითად: ამგაან “მუცლის ტკივილი”, აუატალან “ჯირკვლის ტკივილი”, ახგან “თავის ტკივილი”.

შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ცხოველების დაავადებების სახელებში პირველ კომპონენტად გვევლინება არა დაავადებული ორგანოს სახელი, არამედ თავად ცხოველის სახელწოდება: აჰაარან “ღორის ჭირი”.

ორგანოს დასახელება + აჩმაზარა “დაავადება”: აჭგწაჩმაზარა “პირის ღრუს დაავადება”, აჭაჭაჩმაზარა “თირკმლის დაავადება”, არგფაჩმაზარა “ფილტვის დაავადება”, აგაწაჩმაზარა “ღვიძლის

დაავადება”. ამ ტერმინების სემანტიკა მიგვიჩვენებს არა ტკივილზე, არამედ დაავადებაზე.

ზმნური კომპონენტის შემცველი რთული ტერმინები ფართოდ გამოიყენება აფხაზურ ენაში. ზმნური კომპონენტის სტრუქტურა არ არის ერთგვარი. აგრეთვე არაერთგვაროვანია ტერმინის კომპონენტებს შორის ურთიერთობები. ეს ურთიერთობები განსაზღვრავენ მთლიანად რთული ტერმინის ჯამურ მნიშვნელობას. ზმნის სტრუქტურიდან გამომდინარე გამოიყო რთული ტერმინების შემდეგი მოდელები:

ა) სახელი + დამოუკიდებელი, ან დამოკიდებული რეალიზაციის მქონე ზმნა. უფრო ხშირად ზმნა მასდარის ფორმითაა წარმოდგენილი:

აბაჟ-ფწიარა “მოტეხილობა” < ა-ბაჟ “ძვალი” + (ა-)ფწიარა “მოტეხა”;

აჭაპპნ-კაშიარა “ჭიპის მოვარდნა” < ა-ჭაპან “ჭიპი” + (ა-)კაშიარა “პატარა ზომის რაღაცის ამოვარდნა”;

აწ-თა-ლალარა “გაციება” < ა-წ-თა “სიცივე” + (ა-)ლალარა “რაღაცის შიგნით შესვლა”;

ამგია-ხასრა “დიზენტერია” < ა-მგია “მუცელი” + (ა-)ხასრა “ეპიდემიის, დაავადებების გავრცელება”...

ბ) ორგანოს სახელწოდება + კაუზატიური მიმღეობა:

ახიდა-რ-ჩიგ “ყბაყურა”; აცია-რ-კჭე “ჩუტყვავილა”; აცია-რ-ფშძა “ყვავილი” და ა.შ.

გ) ზემოთ ხსენებულ მოდელს ჰგავს კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც ნაწარმოებია ტერმინი არგხ-თშრა “ციება, კანკალი”, მაგრამ იგი ზემოთ მოყვანილი ტერმინებისგან განსხვავდება იმით, რომ კაუზაციის აფიქსი აქ სხვა პოზიციას იკავებს: ის დგას არა მიმღეობის, არამედ მთელი რთული ფუძის დასაწყისში. ეს რთული ფუძის ლექსიკალიზაციის შედეგია.

დ) ორგანოს დასახელება + ზმნა აკრა “დაჭერა, დაკავება, შეპყრობა”. მოცემული მოდელი არის ყველაზე გავრცელებული სიტყვათსაწარმოებელი მოდელი. ამ მოდელისთვის დამახასიათებელია ორ ვარიანტად რეალიზაცია: კომპოზიტური, როდესაც ზმნა აკრა ასრულებს სახელის განუყოფელი ნაწილის ფუნქციას (მაგ.: აცოგმზგმ-კრა “უძილობა”) და, მეორე, როცა აკრა ზმნა დაავადების დასახელებისას (ნომინაციისას) შედის რთული ფუძის შემადგენლობაში (მაგ.: ა-წ-თა-კრა “გაციება, შეციება”), მაგრამ სათანადო პროცესის კლასოვან-პიროვანი და დროული სემანტიკის გამოხატვის

აუცილებლობის დროს იგი გამოდის ზმნის ფუძის შემადგენლობიდან და იუღლება ჩვეულებრივ (ანთა საკიტ “მე შემცივდა”, ზედმიწევნით “სიცივემ შემიპყრო”).

ე) კომპოზიტები და შესიტყვებები, რომლებიც შედგებიან არსებითი სახელისა და ხარისხის ზედსართავი სახელისაგან:

ალაფშმ-ცოგა “გათვალვა” < ალაფშმ “მზერა” + (ა-)ცოგა “ცუდი”;

ამმჰაბზია “ყივანახველა” < ამმჰა “ხველა” + (ა-)ბზია “კარგი”;

ამმჰა-ცოგა “ჭლექი” (ზედმიწევნით “ცუდი ხველა”) < ამმჰა “ხველა” + (ა-)ცოგა “ცუდი”.

ორი უკანასკნელი სახელი საყურადღებოა სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც, რადგანაც ცხადად გვიჩვენებენ ხალხის ურთიერთსაპირისპირო შეფასება-დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, წარსულში განუკურნებელი ჭლექისა და, მეორე მხრივ, “კეთილ ბატონებად” მიჩნეული ინფექციური დაავადებისადმი.

ტერმინების დიდი ნაწილი ტერმინ-შესიტყვებებია, ანუ ისინი შედგება ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში შემავალი ერთზე მეტი დამოუკიდებელი სიტყვისაგან (გამონათქვამისაგან). ამგვარი ტერმინ-შესიტყვებებია: აკატემ ჩემაზარა ჭმკგ ბააფსგ “ლიზენტერია” (ზედმიწევნით “ნაწლავის ძალიან ცუდი გადამდები დაავადება”). ასეთი ნახევრად ტაბუირებული ტერმინები მეტად იშვიათია.

შედარებით ხშირია სახელებისაგან შემდგარი ტერმინ-შესიტყვებები, რომელთა კომპონენტებსაც ერთმანეთთან პოსესიური ურთიერთობები აკავშირებთ:

ანცია რჩემაზარა “ღმერთების ავადმყოფობა” (წითელას ტაბუირებული სახელწოდება).

აქ სიტყვა ანცია “ღმერთი” აღნიშნავს ღმერთების კრებულს, რაზეც მიგვითითებს კომპოზიტის მეორე კომპონენტში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილების მაჩვენებელი რ-.

9. ჩვენ მიერ გაანალიზებული რთულფუძიანი სიტყვების უმრავლესობა ძირეულ, საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის ლექსიკას წარმოადგენს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი შექმნილია აფხაზური და აბაზური ენების დაშორების შემდეგ.

10. მარტივფუძიან ძირეულ ტერმინთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით სხეულის ნაწილთა და ფიზიოლოგიურ პროცესთა სახელები) იმავე, ან ოდნავ განსხვავებული სემანტიკით დასტურდება აბაზურ ენაში. ამ ტერმინებს ხშირად ეძებნება მატერიალური პარალელები ადიღურ ენებში, უბიხურში, ქართველურ ენებსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში, რაც მათი სიძველის უეჭველი დასტურია.